საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა წარმომადგენელი პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ცხრიმული

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“
თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.;
კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 1000 მანეთი

ხუთშაბათი, დეკემბრის 1
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხარებულნი დედა ოლღა, მამა ლუკა და და ნინა, ბებია კეკა აუწყებენ ნათესავებთ და ნაცნობთ გარდაცვალებას თავის პატარა

კოლა ხელაშვილისას

დაკრძალვის დღე ცალე იქნება გამოცხადებული. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ანტონოვის ქუჩ № 2. 117

ღრმად დამწუხრებული ბიძა ლადო, დეიდა ნინა თვისი შვილებით: აბრაამი, მარიამი, ვახტანგი და შოთა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პატარა

კოლა ხელაშვილის

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 ს. ანტონოვის ქუჩ. № 2.
118

ღრმად დამწუხარებულნი ბიძა დავითი და ძალოა მარიამი და შვილი კატუშა ხელაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პატარა

კოლა ხელაშვილისას

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 ს. ანტონოვის ქუჩ. № 2.
119

ღრმად დამწუხარებულნი შვილები: ბიტოროფუ, ალექსანდრა, ალექსანდრა ბარკალაიები, აგრაფენა მამალაძისა, ანეტა დათუაშვილისა, ანნა ბარკალაიასა და ნადეჟდა ბუროტინა, და ირბუხტი ლვამიჩავანი, რძლები: მაკრინა გუგუშვილისა, ფეოკტისა, ბებუცა და მარია ბარკალაიები, სიძეები: დიომიდე მამალაძე, ვასილი ბარკალაია და ბიკტორ ბურიოტი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას

ელისაბედ სიმონის ასული ბარკალაიასას

ცხედარი იქნება გამოსვენებული ტფილისის სადგურზე პარასკევს, დეკემბრის 2-ს, საღამოს 5 საათზე, საიდანაც გასვენებული იქნება ქ. ფოთში მატარებელ № 3. დაკრძალვა დანიშნულია შაბათს, დეკემბრის 3-ს, საღამოს 4 საათზე ფოთის ადგილობრივ სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე ტფილისში ბათუმის ქუჩაზე, სახლი № 24 (დ. ბუბე) 123

ხელოვნების სასახლე

სერგიევის ქუჩა № 13.
დეკემბრის 1. საღამოს ექვს საათზე.
სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის „საბჭო“ გამართავს მორიგ მეორე ლიტერატურულ

ხუთშაბათს.

მოხსენებას წაიკითხავს:
დეო კიაჩელი

„ჩვენი მწერლობის გზები და მიზნები“

დასასრულ კამათი. მონაწილეობას მიიღებენ პოეტები და მწერლები.
დასწრება შეუძლია ყველას, შესვლა უფასოა. 120

დაწესებულებათა ნაციონალიზაცია.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობისა და რეკომის მიერ სახელმწიფო ენად ქართული ენა არის აღიარებული, რომელიც არა ერთხელ განმეორებით დადასტურებულია; მიუხედავად იმისა, რომ ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესი ამას დაჟინებით მოითხოვს და კიდეც გამოსთქვამს იგი ყოველს გზა ჯერადინზე ამ თავის სულიერს მოთხოვნილებას, ყოველივეს მიუხედავად ქართული ენა ჯერაც ფაქტიურად სახელმწიფო ენად ვერ იქცა. თითქმის ყველა დაწესებულებებში რუსულს ხმარობენ, რუსულს აქვს პატივი, ქართული ენა თითქოს ჩვენს სახელმწიფოში უმცირესობის ენის მდგომარეობაშია. რაშია საქმე? რა არის იმის მიზეზი, რომ ჩვენი მთავრობა ოფიციალურად განცხადებულს, დეკრეტის სახით გამოცემულს ბრძანებას ვერ ახადებს, რომ „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა?“.

მიზეზი აუცილებლად ფაქტიურად შექმნილს მდგომარეობაშია: დაწესებულებები ისეთი ელემენტებით არის სავსე, რომელთაც ქართული ენის არა რა გაეგებათ და რამდენი დეკრეტებიც არ უნდა გამოაქვეყნოთ, მათ ვერ აიძულებთ ქართულად სწერონ, ქართულად იმუშავონ. შესაძლებელია ასეთი მდგომარეობა გარდაუვალი და აუცილებელიც იყო საბჭოთა მთავრობის მუშაობის პირველს პერიოდში. მაგრამ დღეს ჩვენი პოლიტიკა ეროვნული უნდა იქნეს ყოველს დარგში, რომ ავცდეთ ამგვარს უფსკრულს საქმესა და სიტყვას შორის, როგორსაც ვხედავთ ქართული ენის საკითხში. მაგალითად ამ უამად ხდება შტატების შემცირება დაწესებულებებში; სწორი პოლიტიკა მოითხოვს, რომ ამ შემთხვევაში უპირადლება ეძლეს მიქცეული ეროვნულს მოსახლეობას და დაწესებულებებიდან რამდენადაც შესაძლებელია დაითხოვნილ იქნას სახელმწიფო ენის არა მცოდნე. ამას მოითხოვს ქართველი მშრომელი კლასის პრაქტიკული ინტერესი, ამას

დეკრეტიზებული ბიბლიოთეკა

დენობას და თქვენ იგრძნობთ ყოველივე მუშაობას, რომელიც ჩვენ ცხოვრების გარდაქმნა—გადახალისებას იწვევს.

ადსანიშნავია ადრედვე ნშვენივრად შესრულებული რუკა, რომელიც წარმოადგენს საქართველოს მიმოსვლის და ურთიერთ დამოკიდებულების მსვლელობას და სხვა მრავალი.

იქვე გამოფენილია ცენტრალურ სტატისტიკის სამართველოს ორგანო. „საქართველოს სტატისტიკური მოამბე".

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო მრეწველობა დიდათ ყურადსაღებია და მასთანვე, დიდათ მნიშვნელოვანი და მისი მუშაობა ერთგვარ დაწყნარებას იწვევს, ერთგვარ სიხალისეს მატებს ადამიანს.

ხ. ახლანიშვილი.

საქ. რევკომის საინფორმაციო განყოფილების ცნობები

მდგომარეობა ტფილისის მაზრაში. ა-წ. ნოემბრის 12 ს, მოხდა ტფილისის მაზრის ყველა სარაიონო და სათემო რევკომთა თავმჯდომარეების ყრილობა, რაიონის პარტკომების პასუხისმგებელ მდივნებთან და მილიციის უფროსებთან ერთად. კონფერენციამ გამოარკვია, რომ ტფილისის მაზრაში მოსავალი წელს ძლიერ ცუდია. სარეიტალის რაიონში. ივრის ხეობაში, როგორც პური, ისე სიმინდი და ვენახი ძლიერ დაზიანებულია სეტყვისაგან. დასეტყვილია აგრეთვე მანგლისის რაიონი, ვერის ხეობა. ძლიერად ერთად ერთ წალკის რაიონში იყო კარგი მოსავალი, მაგრამ ნათესი ცოტა იყო. საშვალო მოსავალი იყო მინგლისის რაიონის ზედა ნაწილებში. ყარაიაზის რაიონში სიმინდის და პურის მოსავალი სრულებით არ არის. დანარჩენ რაიონებში სიმინდის მოსავალი კარგია. დვინის და კართოფილის მოსავალი ჩინებულია.

სასურსათო მდგომარეობა თითქმის კრიტიკულია. ბთელ მაზრას ბოელის ძარტ აპრილიდან სიმშილი. ზოგიერთ ნაწილებს,—როგორც არის ყარაიაზის რაიონი და ნაწილი სარეიტალის—გამოკვება შეუძლიათ მხოლოდ იანვარ-თებერვალამდის.

ხალხის სულიერი განწყობილება—მიუხედავათ აეთი მოუსავლობისა—კეთილსასურველია. ეფსეესეს და კონტრ რევოლიუციონურ გამოვლენას არსად ადგილი არ ქონია. მცხოვრებთა დამოკიდებულება მთავრობისადმი მთელ მაზრაში სასურველია. ხალხი მთავრობას ოპტიმისტურად მეკუკეეს და სრულ ხლობას უცხადებს.

ცენტრალურ ორგანოების მუშაობა მთელ მაზრაში სწარმოებს. აუშაობა წარმატებით მიმეკიხარეოს და არის იმედები, რომ სრულ ნდობას დაიმსახურებენ მომავალშიც.

მიწის კომიტეტები, მაზრის ყველა რაიონებში მუშაობენ. ყოველ გვარ კონფლიქტს, მიწის ნიადაგზე წარმოშვებულს, იქვე აგვარებენ და ამნაირად მაზრაში ამ სიადაგზე არავითარი თვალსაზრისით უთანხმოება არ ყოფილა, თუ არ მივიღებთ ბხედველობაში ადგილობრივ მხიშვნელობის უთანხმოებას, როგორიც იყო მანგლისში.

გლეხებსა და მიწის კომიტეტებს მორის არსებობს სრული სიმპატია და ეს კომიტეტები მიაჩნიათ მათ ერთად ერთ ავტორიტეტულ ორგანოთ. მიწის კომიტეტებში შ�ოვიდა ხუთასამდე გასცხადება—საჩივარი მიწის შესახებ, რომლებიც თითქმის გარჩეული და დაკმაყოფილებული არის.

სწავლა-განათლების საქმე მთელ მაზრაში კარგად არის დაყენებული. მაზრაში არსებობს 109 სკოლა, რომელშიც ხუთი უმაღლეს-დაწყებითია და ორი კი ბორიის სკოლის ტიპის. ამათში ახლად გახსნილია მხოლოდ ერთი. მაზრაში გახსნილია 21 სამკითხველო და რვა ბიბლიოთეკა. ხუთი კლუბი-აუდიტორია: 12 თეატრი, სადაც წარმოდგენები თითქმის სისტემატიურად იმართება. სკოლებში სწავლა ყველგან განახლდა. მოზრდილთა უსწავლელობის სალიკვიდაციოთ გახსნილია 22 სკოლა.

მაზრაში პროპაგანდის საქმე გვარიანათ არის მოწყობილი, რომელსაც ხელმძღვანელობს სამაზრო პარტიული კომიტეტი რევკომთან ერთად. ყველა ცხრა რაიონში არსებობს რაიონული პარტკომები, პასუხისმგებელ მდივნებით, რომელთა შესწავლის ნაწილობრივად ხანგძლივების იმართება კონცერტ-მიტინგები, კრებები, კითხვა ლექციები, საუბარი და სხვა.

ეჩვენებულია, რომ მაზრაში გლეხთა საჩივრები უმეტეს შემთხვევაში ადგილობრივი ხასიათისაა და ამიტომ ხშირად იქვე ირჩევა. დაწესებულებისადმი საჩივრები ერთობ ცოტა შემოდის, რომელსაც რევკომი დიდ ყურადღებას აქცევს და საქმეს სასწრაფოდ არკვევს.

გორის სამაზრო რევკომში. სამაზრო რევკომმა იქონია მსჯელობა გორის სამაზრო ცენტრის გორიდან ხაშურში გადატანის შესახებ. რევკომმა მიზანშეწონილად და არა სასურველად დაინახა ადმინისტრატიული ცენტრის გადატანა და დაადგინა ადიქრას შუამდგომლობა გორის მაზრის ორ მაზრად გაგაყოფის შესახებ.

ნატურ-გადასახადი სიღნაღის მაზრაში ა-წ. 13 ნოემბერს მოხდა სიღნაღის საარაიონო მეორე კონფერენცია, სადაც მოამზნილ იქმნა ამბ. ერქომიაშვილის მოხსენება ნატურ გადასახადის შესახებ. მსჯელობის შემდეგ, კონფერენციამ მიიღო შემდეგი რეზოლიუციამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. ერქომიაშვილისა, ნატურალურ გადასახადის ცხოვრებაში გატარების შესახებ, როგორც უმთავრესი და უპირველესი მნიშვნელობის საკითხი—საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი ეკონომიური აღორძინებისა—ვ'ცანით, რომ იგი აუცილებლად უნდა გატარდეს ცხოვრებაში სავსებით, რათა ერთხელ და სამუდამოდ დავარყმუბოთ ჩვენი მოწინააღმდეგე მტრები, რომ ყოველივე ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯი ნაჩვენებია არის სამართლიანი და ძის გასატარებლად ცხოვრებაში არ დავზოგავთ არც ერთს წვეთს ჩვენი ენერგიისა და სიცოცხლისა.

მუშათა და გლეხთა სახ. ინსპექციაში. საქართველოს მუშათა და გლეხთა სახალხო კომისარიატის კოლეგიამ ა-წ. 17 ნოემბერს დადგინა, თანახმად ფინანსთა სახალხო კომისარიატის მომართვისა, ყველა უწყებათა კრედიტების შემცირება 20 პროც.

ტფილისის განყოფილების გაუქმება ა-წ. 12 ნოემბეს კოლეგიამ დადგინა: ტფილისის განყოფილება შეუერთდეს სახალხო კომისარიატს.

კრედიტის გახსნა. გორის ინსპექციას დაუმტკიცდა 15,000,000 მ. კრედიტი.

ცირკულიარი. ყველა სამაზრო ინსპექციათა განყოფილებებს დაეგზავნათ ცირკულიარი ტელეგრამა, რომ 1 დეკემბრამდე თვითეულმა განყოფილებამ წარმოადგინოს კომისარიატში მიღებულ თანხების ანგარიშები.

ქერნალ-გაზეთებიდან

„Соціалистическій Вѣстникъ"-ის უკანასკნელ ნომერში ლ. მარტოვი წერილში „ლიკვიდაციის გზაზე" ახასიათებს კომუნისტურ რევოლიუციას და მარტავს მის შედეგებს. ის სწერს: თუ სანკიულოტების ცდამ საფრანგეთის რევოლიუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ საზღვრებიდან გამოყვანისა, წარმოების გახვითარების კანონებზე ძალდატანების გზით, მიიყვანა ქვეყანა სამეურნეო ცხოვრების სრული დაშლამდე, მაშინ ბოლშევიკების ცდამაც რუსეთის რევოლიუციის ბურჟუაზიულ ფარგლებიდან გამოყვანაზე თვითონ ბურჟუაზიული მეურნეობის საფუძვლების დამსხვევის საშუალებით მიიყვანა რუსეთი პირდაპირ ეკონომიურ კატასტროფამდე". როგორც ვხედავთ, მარტოვი წინააღმდეგია დღეს „ბურჟუაზიული მეურნეობის საფუძვლების დამსხვევის". ამემდეგ მარტოვი განაგრძობს: „როგორც საფრანგეთშიც, სახელდობრ უტოპიზმი სოციალურ ამოცანათა არის უკანასკნელი მიზეზი ბოლშევიკურ ტერორისტულ რეჟიმის და პარტიულ დიქტატურის. სწორედ უტოპიზმმ შექმნა პროლეტარიატის და გლეხობის ინტერესების წინააღმდეგობა, გაამწვავა წვრილი მესაკუთრეები და შემდეგ თვით პროლეტარული მასსები კომუნისტურ პოლიტიკის საწინააღმდეგოთ.

სანკიულოტების დიქტატურა გაგრძელდა არა უმეტეს 14 თვისა და გათავდა მისი შინაგანი გახეშვნით, რომელმაც შეამსუბუქა დიქტატურის დამხობის შესაძლებლობა. რუს კომუნისტების დიქტატურა არსებობს მას შემდეგაც, რაც ბოლშევიკების ეკონომიური უტოპია ცხადი შეიქნა მთელ მსოფლიოსთვის და თვით კომუნისტებისათვისაც, ამან ხელი შეუწყო მთელ რიგმა მიზეზებისა, რომელიც ჩაწერილია როგორც საგარეო მდგომარეობაში, ისე თვით პარტიის ბუნებაში".

მოყავს რა მარტოვის ასეთი მოსაზრებანი მილიუკოვის გაზ. Послѣднія Новости-ს, თავის მხვრივ დასძენს: „ყველა იმაზე, რაზედაც ახლა ლაპარაკობს ბ-ნი მარტოვი, ჩვენ ხელს ვაწერთ (კურსივი ჩვენია. მეპრ.) მაგრამ რამდენად დაშორებულია „მენშევიკ-ინტერნაციონალისტის" მსჯელობა ამისაგან, რაც ითქმებოდა და იწერებოდა 1917 წელს, როდესაც ბ-ნი მარტოვი ილაშქრებდა „ბურჟუაზიულ მეურნეობის საფუძვლების" წინააღმდეგ და აწარმოებდა ბრძოლას ზომიერ სოციალისტების—პლეხანოვ-პოტრესოვის ტიპის—წინააღმდეგ. დრომ ასწავლა ბ. მარტოვს ბევრი რამ, უნდა ვიმედოვნოთ, რომ ბ-ნ მარტოვი და მისი ამხანაგები გააკეთებენ შესაფერ დასკვნას: თუ თანამედროვე საზოგადოებაში საფუძვლები სამეურნეო ურთიერთობისა ბურჟუაზიულის წესისაა. მაშინ „პოლიტიკური ზედნაშენიც" უნდა ეთანაბრებოდეს სამეურნეო მდგომარეობას. არ არის ასე?"

(П. Н.)

რუსეთი

სახელმწიფო ბანკის მუშაობა. ბანკის გამგეობამ დაამტკიცა თავისი საოპერაციო მოქმედების გეგმა. უწინარეს ყოვლისა ბანკი გახსნის კრედიტს საწარმოო დარგისათვის. კრედიტი იქნება მოკლევადიანი, არა უმეტეს 9 თვისა. კრედიტისათვის გამოყოფილი იქნება ბანკის საშუალებისაგან განსაზღვრული ნაწილი, რომელიც განაწილებული იქნება სახელმწიფო დაწესებულებათა, კოოპერაციისა და კერძო პირებს შორის. ძირითად თანხის 62,5 პროც. გადაიდება სახელმწიფო კრედიტისათვის, 25 პროც.—კოოპერაციისათვის და 12 ნახ. პროც. კერძო წარმოებისა და ვაჭრობისათვის. საწარმოო კრედიტის ზომა ცალკე მოვალესთვის განსაზღვრულია არა უმეტეს 10 მილიარ მანეთისა. სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებებს შორის კრედიტი გაეცემა მხოლოდ ისეთს, რომელიც არ ირიცხება სახელმწიფო მარაგში. **კრედიტის გაცემის დროს ამა თუ იმ დაწესებულებაზე, ბანკის გამგეობას იქვს უფლება შეიყვანოს გამგეობაში ან კომისიაში სეხ ადებულ დაწესებულებისა თავისი წარმომადგენელი.** პროცენტიანობა გაცემულ კრედიტზე კიდევ არაა განსაზღვრული. ბანკის კასაში მიიდება ფულის ნიშანი ყოველივე დირსებისა, მაგრამ ფულის ანგარიში, როგორც გაცემისა, ისე გადებისას, წარმოებული იქნება მთლიან ათასეულ მანეთებით („ბედნატა").

მუშაობა დონის მალაროებში. ოქტომბრის თვეში დონის ყველა მალაროებიდან ამოღებულია 40 მილიონი ფუთი ნახშირი და „ანტრაციტი" შრომის საბჭოს შენაკვეთი შესრულებულია 165 პროცენტით. მუშების რიცხვი ოქტომბერში გაიზარდა 2 ათასით.

(„ბედნატა").

ოქროსი და პლატინას ამოღება. ოქროსი და პლატინას ამოღების განვითარებისათვის სახ. კომ. საბჭომ ნება დართო რ. ს. ფ. ს. რ. ყველა მოქალაქეებს, კოოპერატივებს, არტელებს და სხ. აწარმოონ ოქროსი და პლატინის ძებნა, ამოღება რუსეთის ტერიტორიაში. გარდა ამისა უფლება ეძლევათ ისარგებლონ ექსპლოატაციის მიზნით სახელმწიფო მანქანებით და დაწესებულებებით. ყველა ამოღებული ოქრო და სხ. გადაცემული უნდა იქმნას სახელმწიფო პუნქტებს. ტრიალი ამ ლითონებისა შით სახელმწიფოში, აგრეთვე საზღვარ-გარეთ გაზიდვა, აკრძალულია. სახელმწიფო იძლევა გარანტიას ლითონის ღირებულების გადახდისა, ფულით ან ნახევრად საქონლით, აგრეთვე საწარმოო იარაღებით. პირები, რომლებიც ჩაიდენენ ბოროტმოქმედებას ამ დარგში, იქნებიან სასტიკად დასჯილნი.

(„ბედნატა").

თევზის წარმოების იჯარით გაცემა. პეტროგრადის რაიონის ყველა წყლები გაიცემა იჯარით. ჯერ ჯერობით დადებულია 800 მეტი პირობა. წლის განმავლობაში ნავარაუდევია 65 ათასი ფუთი თევზის დაჭერა. („ბედნატა").

იურისტების ფახიანი პრაქტიკა. უკრაინაში ნებადართულია იურისტების მიერ კერძო პრაქტიკის წარმოება. ახლო მომავალში შემუშავებული იქნება დებულება კერძო იურიდიულ დახმარების შესახებ სამოქალაქო საქმეებში.

ვაჭრობა უცხოეთთან. ოქტომბრის განმავლობაში უცხოეთის გემებით შემოტანილი იქმნა პეტროგრადის ნავსადგურში 5,364,767 ფუთი სხვა და სხვა ბარვი.

— მოსკოვის, პეტროგრადის და ივანოვო-ვოზნესენსკის მუშებმა, რომელთათვისაც ოქტომბრის რევოლიუციის დასანიშნავად გადადებული იყო პროდუქტები, შესწირეს ყოველივე დამზადებულ გუბერნიებს. ამ პროდუქტების გასაგზავნად საჭიროა 10 მარშრუტის მატარებელი 217 ვაგონით.

— თვით გასტუმრების სისტემაზე გადაყვანილმა სპიჩკის ფაბრიკამ ყოფილი ბერეზინისა და 2 ტყის სახელოსნომ ქარხანამ ბორისოვის მაზრისაში, მინსკის გუბერნიისა, აიყვანა წარმოებითი ნაყოფიერება მშვიდობიანი დროის ნორმამდის.

— რეველით რუსეთში ჩამოვიდა ჯგუფი ამერიკელი ინჟენერებისა და ადმინისტრატორებისა სამეურნეო მანქანების ამერიკული საზოგადოებისა. საზოგადოებას განზრახული აქვს განანახლოს მუშაობა თავის ყოფილ სამხრეთ-რუსულ ქარხნებში კონცესიის საფუძველზე.

— რამოდენიმე ესტონიის ფირმა იძლევა წინადადებას, რათა მათ მიეყიდოს ტყის მსხვილი რაიონები. ერთი ასეთი ხელშეკრულება დაიდო ფრიად ხელსაყრელს პირობებში ამბურგში.

— სახ. სასურკომის ცნობით 10 ნოემბრამდის რ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე დამზადებულია პურით 124 8 მილიონი ფუთი, მეურნეობის საბჭოებისაგან 827 ათასი ფუთი, დაბურნება სათესლე სესხისა—9 5 მილ. ფუთი—ციმბირიდან—11.4 მილ. ფუთი. ჩრდილოეთი კავკასიიდან—5 5 მილ. ფუთი, უკრაინიდან—42.2 მილ. ფუთი. დამშეულ გუბერნიებიდან შეკრებილია 472.1 ათასი ფუთი. (გაზ. „ეკონომიური ცხოვრება").

დიდი არტისტის ჩვენი ლადოს სსოვნას*)

Как всякій художник актер творит по вдохновенію.

Белинскій.

24 ნოემბერი დიდი გლოვის დღეა, რომელიც ქართული სასცენო ხელოვნების მატიანეში შავი, სამგლოვიარო ასოებით შემოუოლებული ჩაიწერება: ზეშინ, 24 ნოემბერს ცხოვრების ამოუცნობელმა და ულმობელმა კანონმა სამუდამოდ გამოგვაცალა ხელიდგან ალექსანდრეს მზიური სიმშვენიერით გასხივოსნებული ლადო მგსხიშვილი. ერთი წელია, რაც დავკარგეთ ცეცხლებრ მგზნებარე, ზღვა გრძნობათა პატრონი დიდი არტისტი, რომელიც სცენიდგან ჩვენს თვალ წინ ზე შთაგონების განცდათა შემოქმედებით გვაცებდა და გვანეტარებდა.

ხელოვნების მოკაკაში ცის ბუმბათს მოსწყდა დიდი მეტეორი.

დაობლდა დიდი ხნით ქართული თეატრი, ვინაიდგან ლადოსთანა ადამიანები საუკუნეობით იბადებიან.

დიდი მხატვარ-ხელოვნის მიერ ჩვენს სცენაზე განსახიერებული და ქართულ ენაზე ამეტყველებული უნივერსალური ჰამლეტი, ფრანც მოორი, ურიელ აკოსტა, კინი და სხვანი მრავალნი სამუდამოდ მიეფარენ ჩვენს თვალებს. დარჩენ მხოლოდ საოცნებო, სანეტარო მოგონებანი.

მშობლიურმა პანთეონმა მიიბარა პირველი ქართული ტრაგიკოსი.

პანთეონის წიაღში დასადგურებულია პოეზიის, მუსიკის და დრამის ცეცხლის გრძნობათა მფარველი ალ უკვე ჩამქრალი ვულკანები—ნიკოლოზ ბარათაშვილი, ნიკო სულხანიშვილი და ლადო მგსხიშვილი და—მარადისობის ამოცანა... შეშფოთებული სიჩუმე... იდუმალობა... სიცივე...

მესხიშვილმა ჰამლეტმა ოფელიას სამარესთან იორიკის თავის ქალას დაატირა მსოფლიო კაეშანი და ლადო მესხიშვილი ბნელმა სამარემ შთანთქა. და მუდმივ ეამთა ბრძოლაში ჰამლეტები დაატირებენ იორიკის თავის ქალას და ყველას ბნელი სამარე შთანთქავს.

ბარათაშვილის შავი ყორანი ქვეყნის დასაბამიდგანვე თავს დასჩხავის კაცობრიობას და გოეტეს მეფისტოფელი ხარხარებს სამყაროს უსაზღვრო სივრცეში.

ბ. ახვლედიანი.

ხოფ. როკითი.

*) წერილი დაგვიანებით მოვიდა რედაქციაში.

დეკრეტი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა

საქართველოს მთავრობის ორგანოთა და საქართველოში მყოფ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა და საზოგადო დაწესებულებათა ურთიერთობრივი მიმართვის წესის შესახებ.

რათა დამყარებულ იქნეს—ერთის მხრით—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის ორგანოთა და მეორეს მხრით—საქართველოში მყოფ უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლთა და საზოგადო დაწესებულებათა შორის ურთიერთობრივი მიმართვ ს წესრიგი,—საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში მყოფ—უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის ყოველნაირი მიმართვა რესპუბლიკის მთავრობის ორგანოებისადმი უნდა სწარმოებდეს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით; აგრედვე რესპუბლიკის მთავრობის ორგანოები მიმართვენ საქართველოში მყოფ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელს მხოლოდ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით.

2. ყოველ ოფიციალურ დოკუმენტს და აქტს, რომელიც გამოვალს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში მყოფ. უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლისაგან და რომელიც უნდა გადაეცეს რესპუბლიკის ორგანოებსა,—ძალა ექნება იმ შემთხვევაში უკეთუ ადნიშნულ დოკუმენტს და აქტს დართული აქვს ვიზა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისა, რომელიც ამოწმებს იმ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის ხელმონაწერის სინამდვილეს, ვისგანაც დოკუმენტი ან აქტი გამომავლობს და, აგრედვე, სათანადო შემთხვევაში ამოწმებს ასეთი დოკუმენტის შინაარსს არსებითად.

3. ყოველ ოფიციალურ დოკუმენტს და აქტს, რომელიც გამოვალს უცხო სახელმწიფოს მთავრობისა და საქართველოს საზღვრების გარეშე მყოფ საზოგადოებრივ ორგანოთაგან და რომელიც უნდა გადაეცეს რესპუბლიკის ორგანოებსა, ძალა ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ამ დოკუმენტს და აქტს დართული აქვს ვიზა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სათანადო წარმომადგენლისა უცხოეთში, რომელიც ამოწმებს იმ პირის ხელმონაწერის სინამდვილეს, ვისგანაც გამომავლობს ეს დოკუმენტი და აქტი და აგრედვე ხელშეკრულ პირის საამისო უფლებამოსილობას.

4. გარეშე საქმეთა კომისარიატს უფლება ეძლევა ცალკე შემთხვევისათვის სათანადო უწყებასთან შეთანხმებით, მოახდინოს გამონაკლისი ამა დეკრეტისაგან.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მის გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე

ბ. მდივანი.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი

ალ. ხვანძე.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი.

ალ. ხალატიძე.

1921 წ. ნოემბრის 28.

ტფილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

დავკარგე სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოცემული პირადობის მოწმობა, აგრონომიულ ფაკულტეტის სტუდენტ გიორგი ნადარაიამ, რასაც გაუქმებულად ვაცხადებ. 121

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სტუდენტ ტიტიკო ღლონტმა, რასაც ვაცხადებ გაუქმებულად. 122

კბილის ექიმი

ი. გ. ხარებავა გაქრაძე

იღებს ავადმყოფებს, ყოველ დღე ილის 9—2 და საღ. 4—6-დე ექიმობა, პლომბები ხელოვნური კბილები. მუშტაიდის შეს. № 4.

109